

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №23

ქ. თბილისი

4.10.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ლოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ავტორიზაციის მძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ია ბაგრატიონი-მუხრანელი - ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;

2. ზაზა ჩიქოვანი - (ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;

3. მაია დუდაური - შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ სასწავლო ნაწილის გამგე;

4. ნატო ზარნაძე - შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ პროფესიული განყოფილების უფროსი;

5. ნანა ჯავაშვილი - ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის სასწავლო პროცესის კოორდინატორი;

6. ნათია ქაჯაია - ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის იურისტი;

7. ინეზა იორამაშვილი - შპს - მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედის დირექტორი;

8. ნათია ნოზაძე - შპს - არსის დირექტორი;

ნინო ფეტვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახიანიანი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:45 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
4. შპს - მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის და შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ და წერილები, რომელიც ისინი ითხოვდნენ საკითხის განხილვის გადადებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გვიან გაცნობის გამო. ნანა ჭილაძის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ ჯერ არ იყო ჩაბარებული, რის გამოც აღნიშნული საკითხის განხილვაც უნდა გადადებულიყო. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგომლობები და კენჭისყრაზე დააყენა მათი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
4. შპს - მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, რომ აღნიშნული დადასტურდა მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური კორესპონდენციითაც.

საბჭომ განიხილა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - აკადემია "ლიბერთი პროფ"- ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 დაწესებულებას ჯამში აქვს 535 კვ.მ. გიორგი ჯანჯღავასა და ნიკოლოზ ჯანჯღავასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულებას სარგებლობაში გადაეცა 234 კვ.მ ფართი (ს/კ 01.16.03.001.004.01.500). ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 28 ოქტომბერს. საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იკვეთება, არის თუ არა ხსენებული ფართი შენობა-ნაგებობის ნაწილი და საუბარია თუ არა მე-4 სართულზე, სადაც რეალურად, განთავსებულია დაწესებულება.

2012 წლის 4 ოქტომბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება ხარვეზის გამოსწორების ფაქტი, კერძოდ, დაკონკრეტდა ზემოაღნიშნული 234 კვ.მ. ფართის მდებარეობა.

1.2 დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ოთახებში ლაბორატორიული ცდების ჩატარებისათვის იგეგმება საჭირო სველი წერტილის მოწყობაც.

1.3 ერთი სველი წერტილი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის, სადაც არის პანდუსი, ზოდი, მაგრამ შესასვლელი კარის სიგანე არის 63 სმ.

დაწესებულებას, დამატებით, სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სხვა შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იყო თუ არა ახლოს სველი წერტილი ლაბორატორიულ კაბინეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სველი წერტილი ლაბორატორიებთან იყო ძალიან ახლოს. ამასთან, მისი განცხადებით, შენობას აქვს რესურსი, რომ ლაბორატორია გადავიდეს სხვა ოთახში, სადაც განთავსებულია სველი წერტილი.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილ სველი წერილის კარის სიგანე იყო 64 სმ, ხოლო ყველაზე დიდი ეტლის სიგანი იყო 59 სმ, ამდენად, ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლეს არ გაუჭირდებოდა სველ წერტილში შესვლა.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოსთან კონსულტაციის შედეგად, ორივე შენიშვნა მოხსნა. თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 130-ით და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 180-ით განსაზღვრა, რადგან 2012 წლის 29 მარტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიენიჭა აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას, შეუძლია 130 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, თუმცა აღნიშნა, რომ 180 პროფესიული სტუდენტზე თანხმობის მიცემა, დაწესებულების მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, წარმოუდგენელი იყო, რადგან საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში თითო ადამიანზე მინიმუმ სამი კვ.მ. ფართი უნდა იქნას ნაანგარიშები.

გადამოწმდა 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების დასაბუთება და კვლავ განიმარტა, რომ 130 მოსწავლე, იმავდროულად შესაძლოა ყოფილიყო პროფესიული სტუდენტიც, ხოლო 50 ადგილი რჩებოდა დამოუკიდებლად და შესაძლოა, შეევესო იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ მოსწავლეები.

ამდენად, ნანა ჭილაძის, განცხადებით ცენტრი, თავისი პოზიციისათვის იმავე დასაბუთებას გამოიყენებდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - აკადემია "ლიბერთი პროფ" - ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემია "ლიბერთი პროფ" -სათვის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, აკადემია „ლიბერთი-პროფს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202065068) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურისა და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - აკადემია „ლიბერთი-პროფს“ ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით, აქედან მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვაღდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. განსხვავებულია გაკვეთილების ხანგრძლივობა და საათობრივი ბაღე. ამასთან დაკავშირებით ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვაღდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის წევრებმა მიმართეს განათლების სამინისტროს წერილით, სამინისტროს პასუხში ვკითხულობთ, რომ კონკრეტული სკოლას უფლება ეძლევა განახორციელოს სასწავლო პროცესი წარმოდგენილი სასწავლო საათობრივი ბაღით. ამასთან, დაზუსტებულია, რომ სწორედ კონკრეტულ სკოლას ეკისრება სასწავლო პროცესზე და მის ხარისხზე პასუხისმგებლობა.

1.2 შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და შეტანილია შესაბამის ოქმში. თუმცა წარმოდგენილი რუბრიკებიდან უმეტესობა სამ და ოთხდონიანია, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (მუხლი 16.).

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში შეფასება განმავითარებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა თვითშეფასების რუბრიკები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და იკვლევს მხოლოდ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესისადმი და არა ცოდნისა და შეძენილი უნარებისადმი დამოკიდებულებას. აღსანიშნავია უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საკლასო და საშინაო დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. თუ გავითვალისწინებთ რუბრიკის შინაარსსა და იმ ფაქტს, რომ სკოლაში ორი უცხოური ენა ისწავლება პირველი კლასიდან და ერთი (ინგლისური) მე-6 კლასიდან, გაურკვეველია უცხოურ ენაში როგორ ფასდება მოსწავლე, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებით. რეკომენდებულია ასეთ შემთხვევაში მითითებული იყოს კლასი, სადაც გამოიყენება ამ შეფასების რუბრიკა, რათა დაცული იყოს შეფასების სიტემის გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოება არ იქნას შეყვანილი შეცდომაში.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საინვენტარო წიგნის მიხედვით შეადგენს 3875 ერთეულს, თუმცა მასში არ შედის ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები. მოცემული სახელმძღვანელოები აღრიცხულია მხოლოდ ელექტრონული ფორმით (საგნების მიხედვით). დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

საფუძვლებისა – მე-7 კლასი, გეოგრაფია – მე-9 კლასი, მუსიკა – მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასები, ფიზიკა – მე-9, მე-10, მე-11 კლასები, სამოქალაქო განათლება – მე-11, მე-12 კლასები, ასევე, რუსული ენის სწავლება ხორციელდება მხოლოდ 2011 წელს გრიფირებული სახელმძღვანელოებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი გამოწვეულია იმით, რომ შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები ფიზიკურად ჯერ არ არსებობს.

სკოლის გამგეობის 2012 წლის 27 ივლისის №5 გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, ხოლო ბიბლიოთეკარს დაევალა ამ აქტის შესაბამისად ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება. თუმცა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ჯერ არ არის შემუშავებული და მის შემუშავებას დაწესებულება გეგმავს ავტორიზაციის გავლის შემდეგ. ბიბლიოთეკაში არ არის გამოკრული მუშაობის საათები.

2.2 სსსმ მოსწავლეთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია მხოლოდ შენობის პირველ სართულზე. შენობის მეორე და მესამე სართულის კიბეებზე არ არის დამონტაჟებული პანდუსი, რაც შეუძლებელს ხდის სსსმ მოსწავლის წვდომას ლაბორატორიულ კლასებთან, რომელიც განთავსებულია შენობის მესამე სართულზე.

2.3 სკოლას არ ჰყავს დაცვის თანამშრომელი, ასევე არ სარგებლობს მანდატურის სამსახურის მომსახურებით. დაწესებულებას წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით 2012 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული აქვს დაცვითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შპს „მაგისტრთან“, რომელიც ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად ამოქმედდება დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის შემდეგ და უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას 24 საათის განმავლობაში.

2.4 სკოლის გამგეობის 2012 წლის 27 ივლისის №9 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ექვსწლიანი (გრძელვადიანი) განვითარების სამოქმედო გეგმა ცხრილის სახით, სადაც მონიშნულია მისაღწევი მიზნები წლების სახით. ექვსწლიან გეგმაში არ არის მითითებული კონკრეტული მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო. აღსანიშნავია, რომ გეგმის თანახმად, ექვს წელზეა გაწერილი პედაგოგთა მორიგეობის ორგანიზება, მათი არგამოცხადების აღრიცხვა, ერთწლიანი და ექვსწლიანი სასწავლო გეგმის შედგენა, გაკვეთილების ცხრილისა და საათობრივი ბადის შემუშავება, ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა და ა.შ. შესაბამისად, სადავოა რამდენად აღწევს სკოლის ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა სტანდარტით გათვალისწინებულ მიზანს, ანუ ითვალისწინებს რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებითა

ასევე, კლასის პედაგოგი ნონა ოქიტაშვილი ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფორმების ხატვა, ბუნებისმეტყველება, ხელგარჯილობა. იგი განათლებით არის მათემატიკის სპეციალისტი და არ უდასტურდება ჩამოთვლილი საგნების სწავლების შესაბამისი გამოცდილება (დარღვეულია საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 21³ მუხლის 1 პუნქტი). უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე პედაგოგს გავლილი აქვს ერთწლიანი სასწავლო კურსი ვალდორფის პედაგოგიკაში და სათანადო სერტიფიკატით მინიჭებული აქვს ვალდორფის სკოლაში კლასის მასწავლებლად მუშაობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირმა მიწერა წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს იმ თხოვნით, რომ სამინისტრომ გაითვალისწინოს ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ვალდორფის პედაგოგიკის დამახასიათებელი თავისებურება და მისცეს შესაძლებლობა, სწავლება განახორციელონ ვალდორფის პედაგოგიკის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების

შესაბამისად. თუმცა განათლების სამინისტროს პასუხში არ არის კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ სპეციფიკას.

თავჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს საბჭოსთვის დაეკონკრეტებინა, მისი მოხსენების რა ნაწილი წარმოადგენდა ხარვეზს და რა - ფაქტობრივ გარემოებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1.1 პუნქტი წარმოადგენდა ფაქტობრივი გარემოების აღწერას, ხოლო 2.4 პუნქტში მოცემულ შენიშვნას ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათი, იმის გათვალისწინებით, რომ აშკარად და ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთებოდა სტანდარტის დარღვევის ფაქტი. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლის თანახმად დასტურდება 1.2 შენიშვნის ნაწილობრივ გამოსწორების ფაქტი, გარდა შენიშვნის შემდეგი ნაწილისა - „თუ გავითვალისწინებთ რუბრიკის შინაარსსა და იმ ფაქტს, რომ სკოლაში ორი უცხოური ენა ისწავლება პირველი კლასიდან და ერთი (ინგლისური) მე-6 კლასიდან, გაურკვეველია უცხოურ ენაში როგორ ფასდება მოსწავლე, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებით. რეკომენდებულია ასეთ შემთხვევაში მითითებული იყოს კლასი, სადაც გამოიყენება ამ შეფასების რუბრიკა, რათა დაცული იყოს შეფასების სიტემის გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოება არ იქნას შეყვანილი შეცდომაში.“; ასევე, 2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაწესებულების მიერ წერილში მითითებულია, რომ ბიბლიოთეკაში უკვე გამოკრულია მუშაობის საათები; 2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილია კიბეებზე პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო-მასალა; 2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულების ასლი; 3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, რომლის თანახმად მოხდა ია ჩიკვაიძისათვის მაგისტრის ხარისხის აღიარება.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, 2.4 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები უნდა ეხებოდეს კონკრეტული სტანდარტის დარღვევის ფაქტს და არ არის მიზანშეწონილი რეკომენდაციის ფორმით მათი ჩამოყალიბება.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა 2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში შეფასება განმავითარებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების რუბრიკებში კი შეფასება გაწერილია ქულებში. შესაბამისად, სავარაუდოა, ის რომ დაწესებულებამ წარმოადგინა უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საკლასო და საშინაო დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ეხება მე-6 და შემდგომ კლასებს და არა პირველ-მეოთხე კლასებს.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტის შეფასებას და აღნიშნა, რომ I-IV კლასებში შეფასება სკოლაში განმავითარებელი იყო.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ხარვეზი იმთავითვე ეხებოდა მხოლოდ უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებულ რუბრიკებს, ე.ი. დაწესებულების მიდგომა ზოგადად სწორია და დიდი ალბათობით ხარვეზი სწორედ ზემოაღნიშნული გაუგებრობის შედეგია.

საბჭო დაეთანხმა თავჯდომარის შეფასებას, ასევე გაითვალისწინა მომხსენებლის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოები, შესაბამისად, გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო მხოლოდ 3.1 პუნქტი.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას ეხებოდა კონკრეტულად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამინისტროს წერილით სკოლას მიეცა უფლება განეხორციელებინა სასწავლო პროცესი წარდგენილი სასწავლო საათობრივი ბადით. ამასთან, დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიმართა თხოვნით, რომ სამინისტრომ გაითვალისწინოს ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ვალდორფის პედაგოგიკის დამახასიათებელი თავისებურება და მისცეს შესაძლებლობა, სწავლება განახორციელონ ვალდორფის პედაგოგიკის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. თუმცა, როგორც თავად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშია მოცემული, განათლების სამინისტროს პასუხში არ არის კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ სპეციფიკას.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია სკოლამ დაწყებით კლასებში გამოიყენოს ერთი პედაგოგი, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ერთმა პედაგოგმა ასწავლოს ყველა საგანი პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით, მითუფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია კვალიფიკაციის არარსებობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების თანახმად, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით ყველა საგანს, გარდა სპორტის, უცხო ენებისა და ხარლგარჯილობის, ასწავლის მხოლოდ ერთი პედაგოგი. ამასთან, სკოლა წავიდა გარკვეულ დათმობაზე და რვა კლასის ნაცვლად, აღნიშნული წესი გაავრცელა მხოლოდ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით.

თავჯდომარემ განმარტა, რომ იგი კარგად იცნობს ვალდორფის სკოლის სპეციფიკას, თუმცა იგი არ გულისხმობს ინჟინერის ან რუსული ენის სპეციალისტის მიერ ქართულის სწავლებას. შეუძლებელია პედაგოგმა ასწავლოს მე-5 კლასში ქართული ენა, როდესაც მას არ აქვს შესაბამისი განათლება.

თავჯდომარის მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი, ლალი ლოდელიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუნდაც მე-5 კლასის სასწავლო მასალის გათვალისწინებით, მართლაც შეუძლებელი იქნებოდა არაკვალიფიციური პედაგოგის მიერ ქართულ ენაში შესაბამისი შედეგის მიღწევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვალდორფის სკოლის პედაგოგები გადიან ერთწლიან სასწავლო კურსს ვალდორფის პედაგოგიკაში და სათანადო სერტიფიკატით მინიჭებული აქვთ ვალდორფის სკოლაში კლასის მასწავლებლად მუშაობის უფლება. მოცემულ შემთხვევაშიც, პედაგოგს გავლილი ჰქონდა გერმანიაში ვალდორფის პედაგოგიკის კურსი და მინიჭებული ჰქონდა, როგორც კლასის მასწავლებლად, ისე რუსული ენის მასწავლებლად მუშაობის უფლება.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ვალდორფის პედაგოგიკის სერტიფიკატს უნდა ახლდეს თან შესაბამისი დანართი, სადაც მითითებულია თუ რა საგნები გაიარა კონკრეტულმა პედაგოგმა, მაგრამ ამ საგანთა ჩამონათვალში ნამდვილად ვერ იქნება ქართული ენა და ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავჯდომარეს, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ თუ ზოგადად პრინციპი მსგავსი სწავლებისა მიუღებელია, მაშინ მისთვის გაუგებარია, რატომ დაფიქსირდა შენიშვნა მხოლოდ ორ პედაგოგზე, მაშინ როდესაც არსებობენ პედაგოგები, რომლებსაც აქვთ ვალდორფის სკოლაში მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება და მათზე ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, აღნიშნა, რომ იგი იცნობს ვალდორფის პედაგოგიკის სპეციფიკას და აღნიშნული მეთოდი მსოფლიოსი აპრობირებულია. პედაგოგი, რომელიც არ არის საგნის სპეციალისტი თავად ემზადება თითოეული გაკვეთილისთვის და საბოლოო შედეგი ძალიან კარგია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა მხოლოდ იმ პედაგოგებთან მიმართებით, რომელთა კვალიფიკაციის დადასტურება ვერ მოხდა ვერც შესაბამისი განათლებით და ვერც სამუშაო გამოცდილებით, ბუნებრივია, 18 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების შემთხვევაში ხარვეზი არ იქნებოდა დაფიქსირებული.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ არ არსებობს არანაირი აუცილებლობა იმისა, რომ არაკვალიფიციურმა პედაგოგმა ასწავლოს საგანი და მოცემული არ ჯდება არც ერთი მეთოდის სპეციფიკაში. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ვალდორფის პედაგოგიკის დამახასიათებელი თავისებურებისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად სწავლების განხორციელების თაობაზე სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომაც კი ვერ დართო ნება და მითუმეტეს, საბჭოს არ ჰქონდა ამის კომპეტენცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ თუ საკითხი პრინციპულია, სკოლა იზრუნდება მოცემული ორი პედაგოგის ჩანაცვლებაზე, მითუფრო პედაგოგთა სიმრავლის გათვალისწინებით აღნიშნული არ წარმოადგენდა არანაირ პრობლემას.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე ნანობაშვილმა, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საბჭოს შეეძლო გაეთვალისწინებინა დაწესებულების პოზიციის მიუხედავად, მისი მზაობა პედაგოგთა ჩანაცვლების თაობაზე და მხარი დაეჭირა სკოლის ავტორიზაციისათვის.

თავჯდომარემ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებდა მსგავს პირობებში ავტორიზაციას, მონიტორინგის სამსახური გადაამოწმებდა სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების საკითხს.

თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 420-ით.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას, მისი მატერიალური რესურსის (მერხი) გათვალისწინებით, შეეძლო 377 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირს (საიდენტიფიკაციო კოდი: 203827083) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 377-ით.

4. შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ და აღნიშნა, რომ დასკვნაში შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 215-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედი, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 215 პროფესიულ სტუდენტთა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის (საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით.

5. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტი/სტანდარტის პროექტი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე არ არის განთავსებული და არ არის დამტკიცებული. დაწესებულებამ წარმოადგინა მოლარის პროფესიული სტანდარტის პროექტი - 020151, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელა პროგრამის შემუშავების დროს. აღნიშნული სტანდარტის პროექტი არ იყო დამტკიცებული. ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2012 წლის 14 სექტემბერს დამტკიცდა მოლარის პროფესიული სტანდარტი. შპს - არსმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიყვანა შესაბამისობაში სტანდარტთან და წერილით წარმოადგინა ცენტრში.

1.2 დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ „არსში“ „პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვისა და ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 3-ის მესამე პუნქტში გაწერილია, რომ „მეორე და შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვისას ითვალისწინებს წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტში მიღებულ შეფასებებს, ცალკეულ პროგრამებზე დაშვებისას შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს პრაქტიკულ კომპონენტს ან გამოცდილებას“. აღნიშნული არ არის გაწერილი წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში დამატებით პირობად.

1.3 დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მობილობის, შიდა მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესი“, სადაც გაწერილია მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს „უღიარდებათ ძირითადი/საფაკულტეტო კრედიტები, ასევე თავისუფალი კრედიტები“, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები არ ითვალისწინებს არც საფულტეტო და არც თავისუფალ კრედიტებს. აქვე გაწერილია, რომ „თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამის კურსის დასახელებას, სტუდენტს აღნიშნული საგანი უღიარდება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში“. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ იძლევა მსგავსი აღიარების საშუალებას სტანდარტისა და პროგრამის სტრუქტურულიდან გამომდინარე. „თუ სტუდენტის მიერ ათვისებული თავისუფალი კურსი ემთხვევა კოლეჯის

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო კურსს, ან აქვს თავსებადობა მოდულთა გარკვეული რაოდენობისა, ათვისებული კრედიტები აღიარდება მიმართულების დეკანის მოტივირებული გადაწყვეტილებით - სრულად ან როგორც შესავალი შესაბამის კურსში“ - წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი სასწავლო გეგმა არ მოიცავს მოდულებს, გაწერილია მხოლოდ საგნები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის განმარტებით, 1.1 შენიშვნა ავტორიზაციის საბჭოს უნდა მოეხსნა. ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ 1.2 შენიშვნაც იყო არარსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მობილობის დროს დაწესებულებამ სცადა გაეთვალისწინებინა ყველა ის განსხვავებული ფაქტორი, რაც დაკავშირებული იყო მობილობის პროცესთან. ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, დაწესებულების შემუშავებული მექანიზმის მიხედვით, მობილობის პროცესი იყო შედარებით გართულებული. შესაბამისად, ლალი ლოღელიანის აზრით, 1.3 შენიშვნა იყო არარსებითი ხასიათის. მოცემული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 130 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არსის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999)

მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:27 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

დ. კახნიაშვილი

გაიანე სიმონია
მდივანი

გ. სიმონია